შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000248

02/10/2025

ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

სარჩევი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი
მუხლი 3. ხარისხის ინსტრუმენტები
მუხლი 4. პასუხისმგებლობები
მუხლი 5. შედგების ანალიზი და ანგარიშგება
მუხლი 6. კვლევის შედეგების გავრცელება
მუხლი 7. კვლევის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო შექმნილია იმისათვის, რომ კოლეჯმა უზრუნველყოს საკუთარი მისიისა და მიზნების რეალიზება და შეძლოს თანმიმდევრული განავითარება.

1.2 წინამდებარე დოკუმენტის მიზანია:

ა. შექმნას დაწესებულების ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.

ბ. კოლეჯში დასაქმებულმა ყველა პირმა/სამსახურმა და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირებმა სრულფასოვნად მიიღონ ინფორმაცია დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს კოლეჯში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითრებას.

გ. ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე აქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა.

დ. უზრუნველყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უწყვეტად და სისტემურად გამოყენების პროცესების ადმინისტრირება PDCA (დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე და იქომედე/გააუმჯობესე) ციკლის გამოყენებით.

1.3 კოლეჯში, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.

1.4 კოლეჯში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შედგება სამი მნიშვენლოვანი კომპონენტისგან, რომელიც ითვალისიწინებს:

ა) ხარისხის სტანდარტების განსაზღვრას;

ბ) ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას;

გ) ხარისხის გაუმჯობესებას.

1.4 დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიზანია კოლეჯის საქმიანობის ყველა ასპექტის და მისი რესურსების უწყვეტი შეფასება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით მათი ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

1.5 დაწესებულებას კოლეჯში ხარისხის კულტურის დანერგვის და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული მექანიზმების სისტემური გამოყენებისთვის, სტრუქტურით გათვალისწინებული ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულების ხარისხის მაღალი ნიშნულის შენარჩუნებაზე.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს „დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და ქმედება“ (PDCA) ციკლის შესაბამისად.

დაგეგმე - საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, განისაზღვრება მათი სიხშირე, კონკრეტული მიზნები, რესურსები და ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.
განახორციელე - აღწერს იმ პროცესებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევისთვის განისაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებასა და ანგარიშგებას ხუთივე სტანდარტთან მიმართებაში.
შეამოწმე - ამოწმებს კოლეჯის ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტთან შესაბამისობას. დაწესებულების მიერ ამ კუთხით ჩატარებული კვლევის შედეგები ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ეცნობება კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განმახორციელებელ სტუქტურულ ერთეულებს/პირებს. შემოწმების მიზანია დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
იმოქმედე/გააუმჯობესე - სახავს კვლევის შედეგად გამოვლენილ ხარვეზთა აღმოფხვრის გზებს, ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს და რეკომენდაციების შემუშავების გზით ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს.

მუხლი 3. ხარისხის ინსტრუმენტები

3.1 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.
ა) შიდა შეფასება (ხარისხის შიდა უზრუნველყოფა) - კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
ბ) გარე შეფასება (ხარისხის უზრუნველყოფა) - ავტორიზაციის პროცესში მიღებული შეფასებები (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი). ასევე, შეფასების მიზნით მოწვეული ექსპერტების შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.
3.2 ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის ფარგლებში კოლეჯში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები კოლეჯის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.
3.2. ხარისხის შიდა ინსტრუმენტებია კოლეჯში არსებული მარეგულირებელი წესები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ და გამართულ ფუნქციონირებას, პროფესიულ სტუდენტთა მიმართ ერთიან მიდგომებს, მათი კანონიერი ინტერესების დაცვას, მიიღონ ხარისხიანი პროფესიული განათლება, გააპროტესტონ მიღებული შედეგები და სხვ. აღნიშნულ მიზანს ემსახურება სააუდიტორიო მეცადინეობების მონიტორინგი/შეფასება.
3.3. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა სერვისების და რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის რეგულაცია, ასევე დამტკიცებულია პროგრამის ფარგლებში საჭირო ინფრასტრუქტურის ჩამონათვალი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი რესურსების განსაზღვრისთვის პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით შესაბამის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
3.4. დაწესებულებას შემუშვებული აქვს პერსონალის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასების განრიგი (დანართი 1), რომლის ანალიზი და შედეგებზე რეაგირება უზრუნველყოფს კოლეჯში სასწავლო საქმიანობის წარმართვას მოტივირებული, მაღალკვაიფიციური კადრებით.
3.5. კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების მიღების, მობილობის, მათი განთესვის ანალიზს, რაც მას ეხმარება სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებაში.

3.6. კოლეჯი უზრუნველყოფს ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზს, რომლის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება სამოქმედო გეგმა სასწავლო და სამუშაო პროცესების გაუმჯობესებისთვის.

მუხლი 4. პასუხისმგებლობები

4.1. ყველა ტიპის კვლევის ადმინისტრირებაზე ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს.
4.2. ხარისხის მართვის მენეჯერი კვლებში ჩართულ შესაბამის პირებთან ერთად შეიმუშავებს კვლევის ინსტრუმენტებს, საჭიროების შემთხვევაში ახდენს კითხვარების მოდიფიკაციას.

მუხლი 5. შედეგების ანალიზი და ანგარიშგება

5.1. კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი.
5.2. კოლეჯს შეუძლია შედეგების ანალიზისთვის / ანგარიშის მომზადებისთვის მოიწვიოს გარე ექსპერტები/კონსულტანტები ან გამოიყენოს შიდა რესურსი.
5.3. კვლევის შედეგები განსახილველად წარედგინება კოლეჯის ხელმძღვანელს და აღმასრულებელ დირექტორს. რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით პროცესში ერთვება შესაბამის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 6. კვლევის შედეგების გავრცელება

6.1. კვლევის შედეგების გავრცელება უნდა მოხდეს დაინტერესებულ პირებთან. ზოგიერთი კვლევის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს შიდა დაინტერესებული მხარეები (კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები), ზოგ შემთხვევაში კი გარე დაინტერესებული მხარეები (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, აპლიკანტები, დამსაქმებლები, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები და ა. შ.).
6.2. კვლევის შედეგები განზოგადებული სახით შეიძლება იქნას გამოყენებული საერთაშორისოდ აღიარებული კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით.
6.3. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას კოლეჯის მარკეტინგული აქტივობების წარმოებისას, სარეკლამო კამპანიის წარმართვისთვის, მაგ. წარმოჩენილ იქნას კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები და სხვა.

მუხლი 7. კვლევის მეთოდოლოგია

7.1კოლეჯში კვლევების მიზანია ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების მიზნით როგორც შიდა გარემოს გამოწვევების, ისე, გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც კოლეჯი შეძლებს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შესრულებას, უპასუხებს ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს.
7.2 შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შენარჩუნებისკენ, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოფხვრისკენ განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
7.3 კვლევის დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღება კვლევის ჩატარების მიზანშეწონილობა და გათვალისწინებული უნდა იყოს ეთიკური მოთხოვნები, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ა) კვლევაში მონაწილეობის ნებაყოფლობითობა;

ბ) კვლევის მონაწილეთა ანონიმურობის დაცვა;
გ) მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ფართო საზოგადოებისთვის კვლევის შედეგების განზოგადებული სახით წარდგენა;
დ) კვლევის მასალების დამუშავებისას კვლევაში მონაწილე პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობა დასამუშავებელი მასალის მიხედვით.
7.4 კვლევა შეიძლება ჩატარდეს რაოდენობრივი ან/და თვისობრივი მეთოდით.
7.5 კვლევების სამიზნე აუდიტორია:
პროფესიული სტუდენტი
პროფესიული მასწავლებელი
ადმინისტრაციული პერსონალი
დამსაქმებლები
კვლევების განხორციელების პერიოდები და დაფარვის მოცულობა განსაზღვრულია კვლევის განრიგის შესაბამისად.
7.7 ნებისმიერი სახის გამოკითხვა/შეფასება/კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს:
ვალიდურობა;
სანდოობა;
მოქნილობა;
შინაარსობრივი სიმარტივე;
მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.
7.8 კვლევისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ხარისხის სამსახურის მიზანია:
კოლეჯის ინსიტიტუციონალური განვითარება გაცხადებულ მისიაზე და იმ ღირებულებებზე დაყრდონით, რომელსაც აერთიანებს კოლეჯი მერიდიანი.
საგანამათლებლო საქმიანობის შეფასების მექანიზმების დანერგვა, შეფასება და მისი მუდმივი გაუმჯობესება, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას და მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ქმედებების იდენტიფიცირებას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და მუდმივი გაუმჯობესება, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში კოლეჯს არ ჰქონდეს სტუდენტთა მომართვიანობის რისკი.
ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური, საბიბლიოთეკო თუ მატერიალური რესურსების შეფასება და მუდმივი გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში მიმდინარე პროცესების შეუფერხებელ განხორციელებას.
ადმინისტრაციული, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე, შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას.
პროფესიული სტუდენტებისთვის საჭირო სერვისების ფართო სპექტრის შეთავაზება და მუდმივი გაუმჯობესება. აღნიშნული ითვალისწინებს, კარიერულ დაგეგმვასა და მხარდაჭერას, ასევე არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და შეთავაზებას, რაც უფრო საინტერესოსა და სრულფასოვანს გახდის სტუდენტურ ცხოვრებას.
7.9 კვლევის შედეგების გამოყენება მოხდება კოლეჯის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების პროცესისთვის.
7.10 კვლევის შედეგად გამოვლენილ სისუსტეებზე რეაგირება აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში, კოლეჯის მართვის პროცედურებსა და კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში/გეგმებში.

დანართი 1 - კვლევების განრიგი

პროფესიული სტუდენტების მიერ განხორციელებული შეფასებები

№	კვლევის დასახელება	ჩატარების პერიოდი	დაფარვის მოცულობა	კვლევაზე პასუხისმგებელი პირი	ჩართული მხარე
1	სასწავლო პროცესი, სასწავლო რესურსები, შეფასების სისტემა და საბიბლიოთეკო რესურსები				
2	პროფორიენტაცია,კარიერული მხარდაჭერა და არაფორმალური აქტივობები				
3	სასწავლო გარემო (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გათბობა-გაგრილება, მატერიალური და საინფორმაციო რესურსები)				
4	პროფესიული მასწავლებელი				
5	პროგრამის შეფასება				
6	საწარმოო პრაქტიკა				
7	კურსდამთავრებულთა კვლევა				

პროფესიული მასწავლებლები

№	კვლევის დასახელება	ჩატარების პერიოდი	დაფარვის მოცულობა	კვლევაზე პასუხისმგებელი პირი	ჩართული მხარე
1	თვითშეფასება				
2	სამუშაო გარემო და რესურსები (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გათბობა-გაგრილება,მატერიალური და საინფორმაციო რესურსები, საბიბლიოთეკო რესურსები)				

დამსაქმებელი

№	კვლევის დასახელება	ჩატარების პერიოდი	დაფარვის მოცულობა	კვლევაზე პასუხისმგებელი პირი	ჩართული მხარე
1	კოლეჯის კურსადამთავრებულთა მზაობის და საწავლო პროგრამის შეფასება				

ადმინისტრაცია

№	კვლევის დასახელება	ჩატარების პერიოდი	დაფარვის მოცულობა	კვლევაზე პასუხისმგებელი პირი	ჩართული მხარე
1	სამუშაო გარემო (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, გათბობა-გაგრილება,				

	მატერიალური და საინფორმაციო რესურსები)
2	თვითშეფასება

ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ზემდგომების მიერ

№	**კვლევის დასახელება**	**ჩატარების პერიოდი**	**დაფარვის მოცულობა**	**კვლევაზე პასუხისმგებელი პირი**	**ჩართული მხარე**
1	ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება				

პროფესიული მასწავლებლის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ

№	**კვლევის დასახელება**	**ჩატარების პერიოდი**	**დაფარვის მოცულობა**	**კვლევაზე პასუხისმგებელი პირი**	**ჩართული მხარე**
1	პროფესიულ მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება				

შპს კოლეჯი მერიდიანი
აღმასრულებელი დირექტორი
შარაბიძე ირაკლი